# ხელშეკრულება

ქ. თბილისი "06 " იანვარი 2011 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 06 იანვარს ქ. თბილისში ერთის მხრივ სსიპ თბილისის № 202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლას (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ ი/მ „რევაზ გაბედავას' (შემდგომში "მომწოდებელი") შორის და მოხდა შეთანხმება შემდეგზე:

## I ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის მიწოდება. „მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს 'სამეურნეო საქონელი შეკვეთის საფუძველზე.
მიწოდება მოხდება „დამკვეთსა" და მომწოდებელს შორის შეთანხმებული წესით..
სამეურნეო საქონლის ღირებულება – 50 ლარი.

## II უფლება - მოვალეობები

„მომწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს მისაწოდებელი საქონლის ხარისხი რაოდენობა და მიწოდების ვადები. იგი ვალდებულია უზრუნველყოს წუნდებული პროდუქციის შეცვლა .
„დამკვეთი " იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება არაუგვიანეს მეორე დღისა.

## III ანგარიშსწორების წესი

პროდუქციის მიღება დასტურდება საქართველოში არსებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტზე „მომწოდებლისა " და „ დამკვეთის " ხელმოწერით .
ანგარიშსწორების წესი – უნაღდო;
ანგარიშსწორება – ლარებში.

## IV უფლებების გადაცემა

„მომწოდებელს "არა აქვს უფლება „დამკვეთის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობები .

## V ხელშეკრულების შესრულების შეფასება

თუ ხელშეკრულების შეფასების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება ,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის ,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

## VI ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## VII ხელშეკრულების შეწყვეტა

დამკვეთს " შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება „ მ(
ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

VIII სადავო საკითხების გადაწყვეტა

„დამკვეთი" და „ მომწოდებელი " პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში აგვარებენ ყველა უთანხმოებას და დავას ,თუ წარმოიქმნება მათ შორის . თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი ) დღის განმავლობაში „დამკვეთი " და „მომწოდებელი " ვერ შესძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას , დავის გადასაჭრელად შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

IX სხვა პირობები

ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და მოქმედებს 2011 წლის 1 თებერვლამდე . იგი შედგენილია ორ ცალად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა

„დამკვეთი"

დირექტორი

სსიპ თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა
თბილისი,გუთნის ქ. 6
საიდენტიფიკაციო N 206091398

ანგარიში GE64TB1100000340800008

სს„თიბისი ბანკის"მარჯანიშვილის ფილ.

ბანკის კოდი 220101850

„მომწოდებელი"

ი/მ „რევაზ გაბედავა"

საიდენტიფიკაციო N 29001030890

ანგარიში GE77TB7824836010100001

სს„თიბისი ბანკის" მარჯანიშვილისფილ

ბანკის კოდი 220101850